



საქართველოს ბანკმა გორში ახალი სერვისცენტრი გახსნა

თბილისი, 15 დეკემბერი, 2011 - საქართველოს ბანკმა, საქართველოს წამყვანმა ბანკმა, დღეს ქალაქ გორში, ჭავჭავაძის ქ. N10-ში ახალი სერვისცენტრი გახსნა, რის შედეგადაც კიდევ უფრო გააფართოვა ბანკის სერვისცენტრების ქსელი საქართველოს მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ ახალ სერვისცენტრში, მომხმარებელი შეძლებს როგორც სტანდარტული საბანკო ოპერაციების ჩატარებას, ასევე ბიზნესსესხებით სარგებლობას, მცირე და საშუალო კომპანიებისთვის. საქართველოს ბანკის ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ მიკროსესხების დაფინანსება წარმოადგენს და ამიერიდან, მომხმარებელს გორში შესაძლებლობა ექნება ბიზნესის დაფინანსებისთვის გორის ახალ სერვისცენტრს მიაკითხოს.

საქართველოს ბანკის ახალი სერვისცენტრი თანამედროვე სტანდარტების თანახმადაა მოწყობილი და მომხმარებელს მარტივ და კომფორტულ მომსახურებას სთავაზობს.

საქართველოს ბანკს, ქვეყნის მასშტაბით უკვე 150-მდე სერვისცენტრი აქვს, რომელიც განთავსებულია მომხმარებლისთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილებში.

გორის ახალ სერვისცენტრში 17 თანამშრომელი დასაქმდა.

საკონტაქტო პირი:

სოფო ბალავაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

საქართველოს ბანკი

(8 32) 2 444 248

(5 77) 72 01 44

sbalavadze@bog.ge

„საქართველოს ბანკის“ შესახებ:

საქართველოს ბანკი ქვეყნის წამყვანი ბანკია, მთლიანი აქტივების (საბაზრო წილი 36%), მთლიანი სესხების (საბაზრო წილი 36%) და კლიენტთა დეპოზიტების (საბაზრო წილი 34%) მიხედვით (2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკების მიერ ეროვნული ბანკისთვის მიწოდებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე). საქართველოს ბანკი მის კლიენტებს სთავაზობს კორპორატიული და საცალო საბანკო, დაგროვილი ქონების მართვის და სადაზღვევო მომსახურების ფართო სპექტრს. სრული ინფორმაციისთვის იხილეთ: www.bog.ge
